



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება №141

2011 წლის 28 ოქტომბერი

ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის №149 განკარგულებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტში სახელოვნებო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღსაზრდელთა უფასო მომსახურების უზრუნველყოფის პროგრამაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

„ხაშურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღსაზრდელთა უფასო მომსახურების უზრუნველყოფის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 26 ნოემბრის #149 განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს „ხაშურის მუნიციპალიტეტში სახელოვნებო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღსაზრდელთა უფასო მომსახურების უზრუნველყოფის 2011 წლის პროგრამა პროგრამა საერთო ბიუჯეტით 32 162 ლარით დანართის შესაბამისად“.

ბ) განკარგულებით დამტკიცებული დანართი შეიცვალოს შესაბამისად ახალი დანართით.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. #15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღსაზრდელთა უფასო მომსახურების უზრუნველყოფის პროგრამა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა, მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საბავშვო ბაღებში რეგისტრირებული აღსაზრდელების მშობელთა მიერ ყოველთვიური სავალდებულო გადასახდელისაგან განთავისუფლება.

პროგრამის არსი

პროგრამის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს ყოველთვიურად სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ანგარიშზე გაწეული მომსახურებისათვის მშობელთა მიერ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის თანხის გადარიცხვას ამ დაწესებულებებიდან წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე განსაზღვრული სოციალურად დაუცველი პირებისათვის (რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 0- დან 70 000 –მდე) და ლტოლვილებისათვის.

პროგრამის ხანგრძლივობა

2011 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 31 დეკემბრამდე. (პროგრამის მოქმედება დროებით შეჩერდება არასასწავლო პროცესში, სავარაუდოდ ორი თვის განმავლობაში).

პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დასაფინანსებლად საჭიროა 32 162 ლარი. თანხის გაანგარიშებას საფუძველად უღევს მონაცემები მშობელთა მიერ საბავშვო ბაღებში მომსახურებისათვის დაწესებული გადასახდელის სიდიდე (ყოველთვიურად არაუმეტეს 10 ლარი) და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახებისა და ლტოლვილ ბავშვთა არსებული კონტიგენტი პროგრამის შედგენის მომენტისათვის (წარმოდგენილია ცალკეული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებიდან).

№ 1	დასახელება	აღსაზრდელების რაოდენობა სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებიდან და ლტოლვილები	თანხა ერთ ბავშვზე უფლაგათის გასაგრძელებლად	აღსაზრდელების რაოდენობა სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებიდან და ლტოლვილები	თანხის ოდენობა იანვარ-ოქტომბერში	თანხის ოდენობა ნოემბერ-დეკემბერში	თანხის ოდენობა წლის განმავლობაში
1	არასამეწარმეო იურიდიული პირი „ხაშურის №1 ბაგა-ბაღი“	23	10	47	1840	940	2780
2	არასამეწარმეო იურიდიული პირი „ხაშურის №3 ბაგა-ბაღი“	18	10	20	1440	400	1840
3	არასამეწარმეო იურიდიული პირი „ხაშურის №4 ბაგა-ბაღი“	29	10	42	2320	840	3160
4	არასამეწარმეო იურიდიული პირი „ხაშურის №5 ბაგა-ბაღი“	30	10	40	2400	800	3200
5	არასამეწარმეო იურიდიული პირი „ხაშურის №6 ბაგა-ბაღი“	18	10	27	1440	540	1980
6	არასამეწარმეო იურიდიული პირი „ხაშურის №7 ბაგა-ბაღი“	27	10	39	2160	780	2940

7	არასამეწარმეო იურიდიული პირი „ხაშურის №8 ბაგა-ბაღი“	13	10	22	1040	440	1480
8	არასამეწარმეო იურიდიული პირი „ხაშურის №9 ბაგა-ბაღი“	39	10	55	3120	1100	4220
9	არასამეწარმეო იურიდიული პირი „ხაშურის №10 ბაგა-ბაღი“	24	10	15	1920	300	2220
10	არასამეწარმეო იურიდიული პირი „ხაშურის №11 ბაგა-ბაღი“	14	10	13	1120	260	1380
11	არასამეწარმეო იურიდიული პირი „ხაშურის №12 ბაგა-ბაღი“	18	10	18	1440	360	1800
12	არასამეწარმეო იურიდიული პირი „ხაშურის №13 ბაგა-ბაღი“	8	10	13	640	260	900
	სულ ბაღები	261		351	20880	7020	27900

**სახელოვნებო სკოლის აღსაზრდელთა უფასო მომსახურების
უზრუნველყოფის პროგრამა**

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სახელოვნებო სკოლის ფუნქციონირების ხელშეწყობა, მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მუსიკალურ სკოლაში რეგისტრირებული აღსაზრდელების ყოველთვიური სავალდებულო გადასახდელისაგან განთავისუფლება.

პროგრამის არსი

პროგრამის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს ყოველთვიურად სამუსიკო სკოლის დაწესებულების ანგარიშზე გაწეული მომსახურებისათვის თანხის გადარიცხვას წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე განსაზღვრული მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის.

პროგრამის ხანგრძლივობა

2011 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 31 დეკემბრამდე. (პროგრამის მოქმედება დროებით შეჩერდება არასასწავლო პროცესში, სავარაუდოდ ორი თვის განმავლობაში).

პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დასაფინანსებლად საჭიროა 4262 ლარი. თანხის გაანგარიშებას საფუძველად უდევს სამუსიკო სკოლაში მომსახურებისათვის დაწესებული გადასახდელის სიდიდე რომლებიც არიან სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებიდან (რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 0- დან 70 000 -მდე) დაფინანსდებიან ყოველთვიურად არაუმეტეს 10 ლარისა.

№	დასახელება	აღსაზრდელების რაოდენობა სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებიდან და კატორეგიები	თანხა ერთ ბავშვზე შეღავათის გასავრცელებლად	აღსაზრდელების რაოდენობა სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებიდან და კატორეგიები	თანხის ოდენობა იანვარ-ოქტომბერში	თანხის ოდენობა ნოემბერ-დეკემბერში	თანხის ოდენობა წლის განმავლობაში
1	ხაშურის სამუსიკო სკოლა	24	10	35	1200	700	1900
2	სურამის სამუსიკო სკოლა	18	10	26	900	520	1840
3	ქვიშხეთის სამუსიკო სკოლა	2	12		72		72
		9	10	21	450	420	870
		53		82	2622	1640	4262